შეცდომები გამეორდა

როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 16 ოქტომბერი.

სკვო (როსტოვი) - “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია (გაგნიძე), კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

სკვო: კიკტევი, გუშჩინი, ბოჩაროვი, გეიზერი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, სმირნოვი, ვოლჩენკოვი, პონედელნიკი, ეგოროვი (კოპაევი), მოსალევი.

მსაჯი პ. ბელოვი (ლენინგრადი).

მატჩის დაწყების წინ, როცა მწვრთნელები დინამოელებს თამაშის გეგმას უსახავდნენ, განსაკუთრებით იქნა ხაზგასმული, რომ როსტოველები პირველ ყოვლისა, შეეცდებოდნენ მინდვრის შუაგულის დაპყრობას, შეეცდებოდნენ თავიანთი მაქსიმუმის გამომჟღავნებას იმ თამაშში, რომელსაც მათთვის შეეძლო მოეტანა უაღრესად საჭირო, ძვირფასი ორი ქულა. აქ ყველაფერი იყო გათვალისწინებული: საკუთარი მინდორი, მაყურებელთა ენთუზიაზმი და მხარდაჭერა, ე.წ. “შინაური უპირატესობანი” და, რაც მთავარია, როსტოვის ფეხბურთელთა უდიდესი შრომისუნარიანობა, ენერგია, მონდომება, ლტოლვა ბრძოლისა და გამარჯვებისადმი. ამასთან, ყველასათვის ცნობილია, რომ “ა” კლასის დებიუტანტი - როსტოვის სკვო დღეისათვის უკვე არ წარმოადგენს ახალბედა გუნდს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე აპირებს ქულების მოპოვებას ისეთ ძნელ ტურნირში, როგორიცაა სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში.

მწვრთნელთა ეს პროგნოზი სავსებით გამართლდა. მასპინძლებმა ისეთი გააფთრებული ბრძოლა გამართეს მინდვრის ცენტრში, რომ მის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ტექნიკური უპირატესობა არ იყო საკმარისი. თითქოს გასაკვირიც იყო: თითქმის ყოველთვის, ყოველ სექტორში თითო დინამოელის წინააღმდეგ იბრძოდა ორი არმიელი და ეს შენარჩუნებულ იქნა 90 წუთის განმავლობაში, თანაც შეიძლება თამამად ითქვას, რომ წმინდა ფიზიკური და ე.წ. “მექანიკური” მონაცემების გარდა მასპინძელთა თამაშში სხვა ფაქტორიც იყო. კერძოდ, ორივე ნახევარმცველმა საუკეთესოდ ჩაატარა მატჩი.

ამ ფონზე განსაკუთრებით იგრძნობოდა “დინამოს” ნახევარდაცვის არასწორი თამაში. თუ ვილაპარაკებთ დინამოელთა წარუმატებლობაზე, მათ შეცდომებზე, პირველ ყოვლისა, ხელშესახები იყო ის, რომ მინდვრის შუაში არ შესრულდა ის ფუნქციები, რომლებიც ეკისრება წინა ხაზის დაცვას და ამის გამო ადგილი ჰქონდა მეტად სერიოზულ დარღვევებს გუნდში. არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი ზურგი. დიდი სარგებელი არ მოუტანია ზეინკლიშვილისა და იამანიძის უსისტემო რეიდებს.

ჯერ კიდევ პირველი ტაიმის შემდეგ ნათელი იყო, რომ “ამინდის შექმნა” თავდასხმაში შეეძლო მესხს, რომელიც აშკარად უგებდა პირისპირ ბრძოლას გუშჩევს, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, მესხი საკუთარ თავზე არ იღებდა თავდასხმის ლიდერის როლს და გარდა ამისა, მისმა პარტნიორებმა არ ისურვეს შეექმნათ თამაში

მარცხენა ფლანგზე, რათა სრული შესაძლებლობით გამოეყენებინათ მოწინააღმდეგის კარის რეალური შტურმის ეს უეჭველი შესაძლებლობა. ამ "პრინციპული უთანხმოების" შედეგად როსტოველებს დიდი შეღავათი მიეცათ იმ უბანზე, სადაც მათ ყველაზე მეტი გასაჭირი უნდა ჰქონოდათ.

როსტოველთა საერთო სტიქიურ შეტევებში ხშირად მეორდებოდა გაძლიერებული მარცხენა ფლანგის ვარიანტი, ვინაიდან "დინამოს" დაცვაში აქ ყველაზე უფრო ხშირად რჩებოდა დაუცველი ადგილი და პირველი ბურთიც სწორედ იქიდან იქნა გატანილი: პონედელნიკმა კარგად გამოიყენა დაბალი გადაცემა და შეუფერხებლად გაგზავნა ბურთი კარში, რომელიც წინდაუხედავად დატოვა კოტრიკაძემ - 1:0. ასე დამთავრდა ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაშმა მეტად დაძაბული, ძალისმიერი ბრძოლის ხასიათი მიიღო. არმიელები კვლავინდებურად მონდომებითა და ენერგიით განაგრძობდნენ თამაშს. ერთ-ერთი შეტევისას ბურთი ჩაუვარდა რამდენიმე მცველით გარშემორტყმულ პონედელნიკს, რომელმაც თამამად გამოიყენა ერთადერთი საშუალება, ნახტომით თავს უკან გადაიტანა ბურთი კარის მიმართულებით. კოტრიკაძე მზად არ აღმოჩნდა ასეთი მოულოდნელობის წინაშე და შორეულ კუთხეში გაუშვა მეორე ბურთი - 2:0.

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და არმიელთა გამარჯვებაც თითქოს აღარ იწვევდა ეჭვს და მხოლოდ აქ, მატჩის ფინიშზე ათამაშდა თბილისის "დინამო" მთელი ძალით. როსტოველები მთელი შემადგენლობით აღმოჩნდნენ მიჯაჭვული თავიანთ კართან. 38-ე წუთზე გაგნიძემ საუკეთესო მდგომარეობაში მეკარის წინ ვერ მიიღო ბურთი და დაიკარგა გოლის გატანის უეჭველი შესაძლებლობა. 42-ე წუთზე კალოევმა წამოიწყო კომბინაცია, რომელიც დამთავრდა მესხის ძლიერი დარტყმით და კიკტევმა ბურთს მხოლოდ კარში მიასწრო თვალი - 1:2. ამის შემდეგ დარჩენილ 3 წუთში შეიძლებოდა 1 ქულის გადარჩენა: კალოევსა და მელაშვილს ჰქონდათ ორი მომენტი თითქმის ღიად დარჩნენილი კარის წინ და არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული.

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ - 1:1.

ბ. ქორქია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

"ლელო", 18 ოქტომბერი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"